საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი 11 ივლისი 2017წ.

ქ. თბილისში, საცხოვრებელი კომპლექსი ჯიქიას ქუჩაზე (სახლი "26") პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

შპს "jei 4"-თან 2017 წლის 7 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესწავლილი იქნა ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში,საცხოვრებელი კომპლექსი ჯიქიას ქუჩაზე (სახლი „26“) პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია შპს „jei -4“-ის მიერ (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ბ. ბარბაქაძე).

ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8-ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში; ქარის და წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 85კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში, არახელსაყრელი ფიზიკურ გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარხტი, ჩაქცევები) არ აღენიშნება. კვლევების მიხედვით შენობის საძირკვლის დაფუძნება ხდება თიხნარ გრუნტზე საანგარიშო წინაღობით R=2.5კგ/სმ^2

გეგმაში შენობა მართკუთხა მოხაზულობისაა და სიმაღლის მიხედვით სიხისტეების და მასების განაწილება თითქმის თანაბარია. ამდენად მიღებული სივრცით-გეგმარებითი გადაწყვეტები აკმაყოფილებენ სეისმურ რაიონში მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

შენობა 8-სართულიანია; სარდაფის სართულით და მანსარდით. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით; მალები განივი მიმართულებით 6.0მ და 6.6; გრძივი მიმართულებით 5.7მ; 6.6მ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასული სისტემა სიხისტის დიაფრაგმებით და ლიფტის შახტის პერიმეტრზე განლაგებული რკინაბეტონის კედლებით.

შენობის საძირკველს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ფილა სისქით h=60სმ.

რკინაბეტონის ფილის ქვეშ მოწყობილია 40სმ-იანი დატკეპნილი ბალასტის ფენა 10სმ-იანი ბეტონის მომზადებით ბეტონის კლასით "7.5".

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით h=20სმ.

სვეტები-მონოლითური რკინაბეტონის, კვეთით 400X400მმ;

სართულშუა გადახურვები - მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები სისქით h=150მმ;

რიგელები მონოლითური რკინაბეტონის bXh=300X600მმ;

ტიხრების მასალად ძირითადად გამოყენებულია თაბაშირ-მუყაოს ტიხრები და მსუბუქ შემავსებელზე დამზადებული წვრილი ბლოკები სისქით 100მმ.

მონოლითური რკინაბეტონისაა კიბეების კონსტრუქცია. მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისათვის მიღებულია ბეტონი კლასით "B-30"; ყველა დანარჩენი რკინაბეტონის ელემენტებისათვის მიღებულია ბეტონი კლასით "B-22.5".

მანსარდის სახურავი ქანობიანია; ლითონის და ხის ნივნივებზე მოწყობილი ბურილით.

შენობის მზიდი კარკასის კონსტრუირება დაფუძნებულია მისი როგორც ერთიანი ღეროვან ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების საფუძველზე 8 –ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე, მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანაწყობაზე. გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო კომპლექსის "ლირა 9.4"-ის მეშვეობით.

ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები; კონსტრუქციის არმირებები; დამახასიათებელი დეტალები და კვანძები; მოცემულია გამოყენებული მასალის სპეციფიკაცია. მშენებლობის პროცესში ქვაბულის ფუძე მიღებულ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ;

შედგეს შესაბამისი აქტი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შენობა მთლიანობაში მდგრადია, როგორც სტატიკურ დატვირთვებზე ასევე სეისმურ ზემოქმედებაზე.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გვაქვს შემდეგი სახის შენიშვნა:

უნდა აღინიშნოს, რომ შენობის კარკასის ელემენტების კვეთის ზომები საკმაოდ ეკონომიურადაა დანიშნული, მზიდი ელემენტების დაარმატურება შეესაბამება გაანგარიშებით მიღებულ შედეგებს. მშენებლობის პროცესში საჭიროა მშენებლობის მაღალი კულტურა და ხარისხი. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მშენებლობის პროცესში ობიექტზე დაწესდეს მკაცრი საავტორო ზედამხედველობა.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილ ქ. თბილისში, საცხოვრებელი კომპლექსი ჯიქიას ქუჩაზე (სახლი „26") პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

ექსპერტი შპს "არკონსი"-ს

დირექტორი: ლ. ქურტანიძე

შპს "არკონსი" GEORGIA "ARKONSI" LTD 205218174

შპს "არკონსი"

ინვოისი

ინვოისის №3

თარიღი 11.07.2017წ.

უნაღდო ანგარიშწორება

გამყიდველი	მყიდველი
შპს "არკონსი" მისამართი: თბილისი საბურთალოს ქ.34 საიდ.კოდი:205218174 სს საქართველოს ბანკი (ცენ.ფილიალი) ა/ა GE30BG0000000210111000 ბანკის კოდი: BAGAGE22	შპს "jei 4" საიდ. კოდი: 405067519

გაწეული მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება. ლარში	სულ ლარში
ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი „26“) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა	2	700	700

შენიშვნა: გამყიდველი არ წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადამხდელს.

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

შპს "არკონსი" * GEORGIA * ARKONSI LTD * 205218174 * არკონსი

ნარდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 7 ივლისი 2017 წელი

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს "jei 4" მისი წარმომადგენელის დავით საგანელიძის სახით, შემდგომში დამკვეთად წოდებული, და შპს "არკონსი" შემდგომში „შემსრულებელად " წოდებული , მისი დირექტორის ლევან კურტანიძის სახით, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობისა და თავიანთი წესდებების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზედ:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "დამკვეთი" ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი „26)-ის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო დასკვნა.

2.ხელშეკრულების ხანგრძლივობა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული შემკვეთის განხორციელებისათვის საჭირო ვადით ანუ 2017 წლის 7 ივლისიდან 2017 წლის 17 ივლისამდე.

3.ხელშეკრულების ღირებულება და ანაზღაურების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე დამკვეთი შემსრულებელს უხდის 700 (შვიდასი) ლარს.
3.2. „დამკვეთი" სახელშეკრულებო ღირებულებას უხდის „შემსრულებელს" მიღება ჩაბარების აქტზე ხელისმოწერისთანავე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან და სამუშაოს ჩაბარებამდე.

5. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

დამკვეთი: შპს "jei 4"
თბილისი ანა პალიტოვსკაიას 1
საიდ. კოდი: 405067519

შემსრულებელი: შპს „არკონსი"
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE30 BG0000000210111000
ბანკის კოდი:BAGAGE22
საიდ.კოდი:205218174

დამკვეთი:

დ. საგანელიძე

შემსრულებელი:

ლ. კურტანიძე

შემსრულებელი

შპს "არკონსი"
თბილისი საბურთალოს ქ.№31
სს საქართველოს ბანკი
ბანკისკოდი: BAGAGE22
ა/ა GE30 BG0000000210111000

დამკვეთი

შპს "jei 4"
თბილისი ანა პალიგოვსკაიას 1
საიდ.კოდი: 405067519

სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მიღება ჩაბარების
აქტი

თბილისი 11 ივლისი 2017წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შპს "jei 4" მისი წარმომადგენელის დავით საგანელიძის სახით, შემდგომში "დამკვეთად" წოდებული და შ.პ.ს „არკონსი" მისი დირექტორის ლევან კურტანიძის სახით, შემდგომში „შემსრულებლად" წოდებული ვადგენთ აქტს მასზედ, ქ. თბილისში ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსის (სახლი „26 „)-ის პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა სათანადოდაა შესრულებული.

ღირებულებამ ხელშეკრულების თანახმად შეადგინა 700 (შვიდასი) ლარი.

მისაღებია 700 (შვიდასი) ლარი.

სამუშაო მიიღო:

დ. საგანელიძე

სამუშაო ჩააბარა:

ლ. კურტანიძე

დიპლომი

Ბ-I № 021401

ეს დიპლომი მიეცა ქურთალიძე

ლევან პეტრეს ძეს

მასზე, რომ იგი 1969 წელს შევიდა

ვ.ი.ლენინის სახ. საქართველოს

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1974 წელს დაამთავრა

ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობაში

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.

„22" მაისის გადაწყვეტილებით

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

ქ. თბილისი „26" VI 1974 წ.

სარეგისტრაციო № ST-3914

ДИПЛОМ

Б-I № 021401

Настоящий диплом выдан Курталидзе

Левану Климентьевичу

в том, что он в 1969 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1974 году окончил полный курс

наук института

по специальности

Промышленное и гражданское

строительство

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „22" мая 1974 г.

Курталидзе П.К.

присвоена квалификация

инженер-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

г. Тбилиси „26" VI 1974 г.

Регистрационный № ST-3914

Типография Гознака. 1974.

ლევან ქურტანიძე
(დაბადებული 1952 წ. 17 მარტს ხარაგაულის რაიონი სოფ. ღორეშა)

1974 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით.
1974 წლიდან 1999 წლამდე ვმუშაობდი საპროექტო ინსტიტუტ "საქქალაქმშენსახპროექტში" ინჟინრად, მთავარ სპეციალისტად, პროექტის მთავარ კონსტრუქტორად, სახელოსნოს მთავარ კონსტრუქტორად.
1999 წლის 2002 წლებში სააქციო საზოგადოება "საქქალაქმშენპროექტი"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.
1997 წლიდან დღემდე საპროექტო ფირმა შ.პ.ს. "კაპიტელი"-ს დირექტორი.
2006 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ურბანული კომისიის ექსპერტი

ბოლო 15 წელიწადში შესრულებული ძირითადი სამუშაოები:
მონაწილეობა მაქვს მიღებული სხვადასხვა უუნქციონალური დანიშნულების ნაგებობების გაანგარიშებებში და პროექტირებაში.

- ქ. თბილისი ლეონიძის ქ. №3/5 განთავსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული შენობის საძირკვლების, პირველი სართულის და სარდაფის სართულის კონსტრუქციების აღდგენა-გაძლიერება.
- ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე კავშირგაბმულობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის კომპლექსური აღდგენა-რეკონსტრუქციის და გაფართოების პროექტი
- ქ. თბილისში თავისუფლების მოედანზე მდებარე საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილი ცეკავშირის შენობის მე-6, მე-7 სართულების კონსტრუქციების აღდგენა-რეკონსტრუქცია (2002 წლის მიწისძვრის შემდეგ).
- ქ. თბილისი ლეონიძის ქ. №3/5 განთავსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციული შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია (2002 წლის მიწისძვრის შემდეგ).
- ქ. თბილისში დადიანის ქ. № 2/1 განთავსებული საქართველოს ერობნული ბანკის კუთვნილი სამსართულიანი შენობის (თბილკომბანკის ყოფილი შენობა) რეკონსტრუქცია-გამაგრება (2002 წლის მიწისძვრის შემდეგ).
- საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ყიფშიძის ქუჩაზე ქ. თბილისში.
- წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ქ. თბილისში
- ფირმა "აქსისი"-ის საცხოვრებელი სახლები;
  პეტრიაშვილის, არაყიშვილის, თამარაშვილის, ყაზბეგის, საბურთალოს ქუჩებზე.
  "აქსის-ტაუერ" ჭავჭავაძის ქუჩაზე
- ფირმა "არსი"-ის საცხოვრებელი სახლები:
  ბოჭორმის, ქავთარაძის ქუჩებზე.
- ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსი ქ. თბილისში და სხვ.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ექსპერტიზა ჩაუტარდა 50-ზე მეტ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, მათ შორის:

1. ხაშურის რაიონის სოფ. წრომის – "წრომის ტაძარი" –რესტავრაციის პროექტი
2. ქ. თბილისის ვლ. ახვლედიანის აღმართი №4, სასტუმრო "მთის ბროლი"-ს რეკონსტრუქციის პროექტი
3. სოფ. ხცისის წმ. იოანე ნათლისმღებლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი
4. ქციის ეკლესია (ჭეჭეს საყდარი) – რეკონსტრუქციის პროექტი
5. ქ. თბილისში ერეკლე მეორის ქუჩა № 8/10-ში მდებარე სახლის რეკონსტრუქცია-

6. სხალტბის კვირაცხოვლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი
7. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ლ. ქიაჩელის ქ. №5/7-ში მანსარდის დაშენების პროექტი
8. წალკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი
9. ქ.თბილისის კაკაბაძეების №2-ში კისის სახლის მაყურებელთა დიდი დარბაზის სართულშუა გადახურვის პროექტი
10. მარგვილისის ხვთისმშობლის გაძრის არქიტექტურული სტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი
11. თავდაცვის სამინისტროს გორის ქვეითი ბაზის სასადილოს პროექტი
12. დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის პალეოლითური ადგილსაპოვებელის სარებილიტაციო სამუშაოების პროექტი
13. ბათუმის გოგებაშვილის ქ. №24-ში სასტუმროს პროექტი
14. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-კორპუსის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციის პროექტი
15. ქ. თბილისში ნავთლუღის ქ. №11-13 ი.მ.ა "ისანი-2006"-ის კუთვნილ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტი

ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია-საანკეტო მონაცემების, განათლების, შრომითი საქმიანობის შესახებ სწორია და ვაღასტურებ.

ლევან კურტანიძე

საკონტაქტო მონაცემები:
თბილისი/ საბურთალოს ქ. №31: ბ – 35
ტელეფონი: 38 18 03; 37 95 33
899 50 10 52